,,ვამტკიცებ“

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის

პრეზიდენტი

გ. ცაავა

-------- -------- --20.12-- 2023 წ.

რეგიონული საფეხბურთო ტურნირი ,, ვარსკლავი - 2023 ‘‘

2015 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის

(15 დეკემბერი - 19 დეკემბერი 2023 წ.)

სტადიონი - დინამოს აკადემია

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

1. მიზანი და ამოცანები

- ბავშვთა ფეხბურთის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- ჭაბუკებს შორის ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა
- გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრებას ხელმძღვანელობს და ატარებს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ).
- თამაში ჩატარდება ,, დინამოს აკადემია-ს ‘‘ სტადიონზე, თფფ-ს მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.

3. ჩემპიონატის ჩატარების პირობები და ფორმატი

3.1. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2015 წელს დაბადებული ბავშვები.

3.2. მატჩების ხანგრძლივობაა 40 წუთი (20-20 წთ), 5 წუთი შესვენებით;

3.3. 2015 წელს დაბადებული ჭაბუკები ითამაშებენ : 1 კარში და 6 წინ,

3.4. ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა;

3.5. წილისყრის შედეგად შეიქმნება 2 ჯგუფი, თითოეული 4 გუნდით დაკომპლექტებული. ჯგუფში თამაშების შედეგად გამოვლინდება 2-2 საუკეთესო გუნდი, რომლებიც ნახევარ ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს და გამოავლენენ ტურნირის ფინალისტებს.

3.6. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპებით:

3.6.1. უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ - ბურთების უკეთესი სხვაობა);

3.6.2. - მოგებათა მეტი რაოდენობა;

3.6.3. - ჯგუფში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

3.6.4. - ჯგუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

3.6.5. - ფეირ-პლეის შედეგები;

თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

3.6.6. - ნახევარფინალისა და ფინალის სტადიაზე მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, დაინიშნება პენალტების სერია (5-5 დარტყმა და თუ საჭირო გახდა, თითო-თითო დარტყმა პირველ გაფუჭებამდე.)

3.7. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი;

3.8. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების მწვრთნელები და მთავარი მსაჯი;

3.9. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს;

3.10. ტურნირში ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;

3.11. ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფებში, შემდეგ მატჩები ნახევარფინალში, თამაში III ადგილისთვის და ფინალი.

3.12. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

4.1. გუნდების განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2023 წლის 10 დეკემბრამდე.

4.2. თითოეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზემპლარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 10, მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი.

4.3. გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ბეჭდით ან ყოველი მოთამაშის ჯანმრთელობის ცნობით წარმოდგენილი.

5. მსაჯობა

6.1. თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს თფფ;

6.2. ტურნირის მიმდინარეობისას შეხვედრებს მოემსახურება 1(ერთი) მსაჯი.

6.3. მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით;

6.4. მსაჯი ვალდებულია, თამაშის დამთავრებისთანავე თფფ-ს აცნობოს თამაშის შედეგი;

6.5. მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.

6.6. ფეხბურთელის შეცვლა ნებადართულია მოედნის ცენტრიდან, როდესაც ბურთი თამაშში არ არის.

6.7. მოედნიდან გაძევებული ფეხბურთელის ნაცვლად ნებადართულია სათადარიგო ფეხბურთელის თამაში.

6. სადისციპლინო სანქციები

7.1. გამოყენებული იქნება თფფ-ს მოზარდთა და ბავშვთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი.

7. დაჯილდოება

8.1. ტურნირის გამარჯვებულები (პრიზიორი გუნდები) დაჯილდოვდებიან თასებით,მედლებით, დიპლომითა და სათამაშო ეკიპირებით.